დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიში

1. **ადმინისტრაციული სამსახური:**

ადმინისტრაციული სამსახურის ფუნქციების შესაბამისად მთელი წლის მანძილზე ხორციელდებოდა განცხადებების მიღება და მოქალაქეთა მომსახურება. მ/წლის 14 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მერიაში edokument – პროგრამაში და ასევე mms პროგრამის მეშვეობით შემოსულია სულ 7438 კორესპონდენცია, აქედან უმეტესი ნაწილი ეხება მოქალაქეთა განცხადებებია, სადაც ითხოვენ ფინანსურ დახმარებას, მკურნალობა-საოპერაციო თანხებს, ავარიული და დაზიანებული სახლების შეკეთებას, მშენებლობა - ექსპლუატაციაში მიღების ნებართვას, ბინის პრივატიზებას ????? საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსული წერილებია, რომლებიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარეგისტრიებას, მიწის ფართის იდენტურობის დადგენას და საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან ინფორმაციის გამოთხოვას ეხებოდა.

მუნიციპალიტეტიდან გასულო დოკუმენტების რაოდენობა შეადგენს 5628;

გამოცემული სამართლებრივი აქტების რაოდენობა შეადგენს 2742.

მომზადდა სამივლინებო მოწმობები. (სულ 386 სამივლინებო მოწმობაა გაცემული).

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლი და მათ მიერ ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულისა და შესაბამისობის შემოწმება. ასევე, ადმინისტრაციული სამსახურმა უზრუნველყო თანამშრომელთა კვალიფიკაცის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ტრენინგ მომსახურების შესყიდვა საზოგადოებასთან ურთუერთობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ასევე გამოცხადებული იყო კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებად ვებ გვერდზე რომლის მეშვეობითაც მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წელს აყვანილი იქნა 19 ახალი თანამშრომელი, დარჩენილია 9 ვაკანსიაა.

მ/წლის 14 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულებით მერიაში დასაქმებულია 8 თანამშრომელი.

ადმინისტრაციულ სამსახურში საზოგადოებასთან ურთიერთობას ორი თანამშრომელი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებ–გვერდის dmanisi.gov.ge ადმინისტრირებას.

ადმინისტრაციული სამსახურის მეშვეობით ხორციელდება სოციალური ქსელის მონიტორინგი, მუნიციპალიტეტის Facebook გვედრის ადმინისტრირების უზრუნველყოფა, პასუხების მომზადება გვერდის მომხმარებელთან კითხვებზე;

მიმდინარე წელს დაიგეგმა მუნიციპალიტეტის მიერ შექმნლი არასამეწარმეო (არაკომერციულო) იურიდიული პირების გადაყვანა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე edocument.ge, ამ დროისათვის 9 ააიპიდან 7 უკვე გადასულია ელექტრონულ საქმისწარმოებაზე, 2 ააიპში (საგანმანათლებლო ცენტრი და საზოგადოებრივი ჯანდაცვა) მიმდინარეობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მომზადების სამუშაოები.

ადმინისტრაციულ სამსახურმა 2018 წლის ივლისიდან უზრუნველყო კვალიფიციური სანდო მომსახურებისათვის ელექტრონულ შტამპის გამოყენება მერიაში.

ადმინისტრაციული სამსახურის ჩართულობით 2018 წლის თებერვალში განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების ინჟინერთა კორპუსის მიერ რეაბილირირებული, 597,368.00 ამერიკულ დოლარის ღირებულების შენობის გადმოცემა.

მავე წელს ადმინისტრაციული სამსახურის ჩართულობით განხორციელდა აშშს საელჩოსაგან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის 94 370 აშშ დოლარის ღიებულების გრეიდერის გადმოცემა.

სამსახურის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხებზე. მონიტორინგის შედეგად გადამოწმებულია 2000-ზე მეტი პირი. ადმინისტრაციული სამსახურის

ასევე აქტიურად მუშაობს მაღალიმთის დასახლების მქონე სტატუსის მქონე 9 დასახლებული პუნქტებისათვის სტატუსის მინიჭების წინადადებაზე.

ადმინისტრაციული სამსახურში 2018 წლიდან შექმნილია იურიდიული განყოფილება, რომელიც ინტენსიურად ახორციელებს ძირითადად შესყიდვების განყოფილებიდან და ქონების განყოფილებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის სამართლებრივ ანალიზს. ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული მერის ბრძანებით შექმნლი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში.

2018 წელში ადმინისტრაციული სამსაუხირის მონაწილეობით ჩატარდა 75 სასამართლო პროცესი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ამას გარდა 30-მდე სხვა ადმინისტრაციული და სამოქალაქო დავა. ადმინისტრაციული სამსახურის იურისტების მიერ მომზადდა 15 ნორმატიული აქტის (საკრებულოს დადგენილების) პროექტი.

ადმინისტრაციული სამსახური საანგარიში წლის განმავლობაში ახორციელებდა მერის, მერის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას; უწევდა კონსულტაციებს მუნიციპალიტეტის თანამშრომელებს და მოქალაქეებს.

ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების მეშვეობით, გამარტივებულია მოსახლეობიდან ინფორმაციის მიღება და მათთვის ინფორმაციის მიწოდების პროცედურა, აღნიშნული ხორციელდება ყოვედღიურ რეჟიმში და გადაუდებელ შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება მიღებული ინფორმაციის მიღება და გადამისამართება შესაბამის უწყებებთან (მერის შესაბამისი სამსახურები, გუბერნატორის ადმინისტრაცია თუ სხვადასხვა სამინისტროებში).

ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული მერის ბრძანებით შექმნლი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში:

1. "მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხის განხილვილის მიზნით გამგებლის მიერ უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ";
2. „დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ";
3. „დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 ნოემბრის N607 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ";
4. ,,სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ";
5. „სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ";
6. "პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ";
7. დმანისის მუნიციპალიტეტის საინვენტარიზაციო კომისია;
8. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია;

2. ეკონომიკის სამსახური:

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე 2018 წლის თებერვლიდან დმანისის მუნიციპალიტის მერიას დაემატა ეკონომიკის სამსახური, რომელმაც მიმდინარე წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

1. აუქციონის წესით იჯარით გაიცა 46 სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც შემოსულმა თანხამ შეადგინა 30828 ლარი;
2. პირდაპირი განკარგვის წესით გაიცა 17 სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც შემოსულმა თანხამ შეადგინა 28080 ლარი;

3. აუქციონის მეშვეობიდ გასხვისდა 9 ავტოსატრანსპორტო საშუალება, შემოსული თანხამ შეადგინა 23967 ლარი;

4. განხორციელდა არარსასოფლო სამეურნეო დანიშნულების ორი მიწის ნაკვეთი განკარგვა ერთი გადაეცა აღნაგობის ფორმით უსასყიდლოთ სასაზღვრო პოლიციას მეორე მიწის ნაკვეთი გაიცა იჯარის ფორმით საიდანაც შემოსულმა თანხამ შეადგინა 1700 ლარი;

5. დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში 2018 წლს შევიდა 59 განცხადება აქედან დაკმაყოფილდა 3 განცხადება უარი ეთქვა - 54 და ორი განხილვის პროცესშია, სულ საკუთრებაში გაიცა 1827 m^2 სასოფლო სამერნეო დანიშნულების მიწა.

3. ზედამხედველობის სამსახური:

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე 2018 წლის თებერვლიდან დმანისის მუნიციპალიტის მერიას ასევე დაემატა ზედამხედველობის სამსახური, სამი შტატით, ამჟამად სამსახურში არის ორი ვაკანსია, თანამდებობაზე დანიშნულია მხოლოდ ერთი თანამშრომელი რომელმაც მიმდინარე წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ.დიდი დმანისში ჩატარდა შემოწმება, შპს ,,მაგთიკომის'' მიმდინარე შესასრულებელ სამუშაოებზე - ქ.დმანისიდან სოფ.ბალიჭებამდე სოფ.განთიადის გავლით მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხების და ჭების მოწყობაზე. სოფ.დიდი დმანისში გამავალი სახელმწიფო გზის გასწვრივ ტერიტორიაზე თხრილის მოწყობის სამუშაოები არ მიმდინარეობდა წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ასევე დარღვეული იყო სასმელი წყლის სისტემასთან თხრილის განთავსება, სტანდარტები და უსაფრთხოება. რის გამოც შპს ,,მაგთიკომს'' მიეცა მითითება მასზედ, რომ ეწარმოებინა სამუშაოები პროექტით და სტანდარტების შესაბამისად. მითითების მიცემული ვადის შეუსრულებლობის გამო დაშვებული დარღვევებისთვის ზედამხედველობის სამსახურმა დააკისრა ჯარიმა. ასევე მოგახსენებთ,რომ შპს ,,მაგთიკომის'' მიერ სოფ.განთიადის გავლით მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხების მოწყობის სამუშოები შემოწმდა , სადაც დადგინდა რომ, სამუშაო არ განხორციელდა ნორმების დაცვითი ზომებით, კერძოდ სამუშაოს დასრულების შემდგომ, სოფელ განთიადში გამავალი სახელმწიფო გზის გასწვრივ ტერიტორიაზე, გვერდულები არ იყო მოწყობილი პირვანდელი იერსახის გათვალისწინებით, სამუშაოს განხორციელების დროს დაზიანებული იქნა გზის გვერდულებიდან საცხოვრებელი სახლის მისასვლელი (მოასფალტებული ფენა) გზა, ასევე გადათხრილი იყო სავტომობილო გზის მონაკვეთი, რომელიც საჭიროებდა აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. მერიის ზედამხედველობის სამსახურმა შპს ,,მაგთიკომს'' მიმართა წერილობითი თხოვნით, რათა მოეხდინა ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე შესაბამისი რეაგირება. კომპანიამ აწარმოოა შესაბამისი სამუშაოები.

დაჯარიმდა სოფელ კარაბულახში მცხოვრები დილარა გუმბათოვა, რომელმაც აწარმოა კომერციული ფართის უკანონო მშენებლობა საკუთარ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 82.07.45.290) დაჯარიმდა 200 ლარის ოდენობით, დაჯარიმდა სოფელ კარაბულახში მცხოვრები ნამიგ ისმაილოვა , რომელმაც აწარმოა კომერციული ფართის უკანონო მშენებლობა საკუთარ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 82.07.46.363) დაჯარიმდა 200 ლარის ოდენობით.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაიცა შემდეგი წერილობითი მითითებები: ჩიმნიზ სალიფოფა, (სოფ.მამიშლო) შეასრულა წერილობითი მითითება,რომელმაც შეაჩერა უნებართვო მშენებლობა. აბასოვი მურთუზალი, (სოფ.პანტიანი) შეასრულა მითითება,რომელმაც მოახდინა უკანონო მშენებლობის დემოტაჟი თემურ მენადე (ქ.დმანისი, ცურტაველის ქუჩა N 44) შეასრულა წერილობითი მითითება, მშენებარე ობიქტის მიმდებარე ტერიტორია მოაწესრიგა. ნებართვები გაიცა შემდეგ პირებზე: ოთარი ხუციშვილი (15001003209 ქ.დმანისი სინის ქუჩა N11) აწარმოვა

კანონიერი მშენებლობ. მუსტაფა მამედოვი (15001009047 სოფ.შინდლარი) აწარმოვა კანონიერი მშენებლობა. პუხან ადნაევი (15001008416 სოფ.მამიშლო) აწარმოვა კანონიერი მშენებლობა). იკრმა ალიევი (15001005512 სოფ.კიზილაჯლო) აწარმოვა კანონიერი მშენებლობა. როვშან მამედოვი(15001023003 სოფ.ამამლო) აწარმოვა კანონიერი მშემებლობა. ბახადირ სულეიმანოვი (15001017582 სოფ დაგარახლო) აწარმოვა კანონიერი მშენებლობა. ბახტიარ ისკანდაროვი (15001005816 სოფ .ტნუსი) აწარმოვა კანონიერი მშენებლობა. ვასიფ გასანოვი (1500100200 სოფ. ზემო ორზმანი) აწარმოვა კანონიერი მშენებლობა.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, მიმდინარე წელს გადამოწმებული იქნა სოფელ განთიადში მდებარე თემურ დევნოზაშვილის არსებული საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორია, სადაც დაფიქსირდა შლამისებრი ნარჩენი ნივთიერებით, შინაური ცხოველის ფეკალური მასებით გარემოს დანაგვიანება. მიეცა წერილობითი გაფრთხილება, რათა დაუყოვნებლივ დაესუფთავებინა ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორია, რაც შესრულებულ იქნა. ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოხდა ქ. დმანისში ხერგიანის ქუჩაზე(ს.კ.N82.01.46.593) მდებარე ობიექტის-საზოდაგოებრივი ცენტრის ექსპლუატაციაში მიღება. ზედამხედველობის სამსახურში შემოვიდა 2 წერილი გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით. რაზედაც გარე ვაჭრობის განხორციელების ნებართვის გაცემაზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 13 აგვისტოს N20 დადგენილების „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ“, მე-3 მუხლის შესაბამისად ვუთხარით უარი. ზედამხედველობის სამსახურს დაეწერა შსს დმანისის რაიონული სამმართველოს წერილი ქალაქ დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა N52- ში მდებარე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისის ფანჯარაზე გაკრული ბანერისა და დმანისის რაიონის ტერიტორიაზე პლაკატების დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით. ზედამხედველობის სამსახურმა შეისწავლა აღნიშნული ფაქტი, რაზედაც ვერ მოხერხდა ფაქტთან დაკავშირებული პირების იდენტიფიცირება (მტკიცებულებების დადგენა), რის გამოც ვერ მოხერხდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დადგენა.

ზედამხედველობის სამსახურში შემოსული საყდრისის კომიტეტის წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „აბულბუქში“ მიწის ნაკვეთზე მდებარე ე.წ. სამსხვრევის უნებართვო მშენებლობისა და დემონტაჟის საკითხს, შპს RMG GOLD -ს მივმართეთ წერილობით დაცულ ობიექტზე შესვლის ნებართვასთან დაკავშირებით, რათა ადგილზე მოგვეხდინა საქმის შესწავლა. შპს RMG GOLD -ისგან პასუხი მოვიდა მხოლოდ 2018 წლის 24 დეკემბერს, რის შემდეგაც იგეგმება შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ზედამხედველობის სამსახური რეაგირებას ახდენდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოსულ წერილებზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უფლების გარეშე მიწათ სარგებლობის შესახებ. ზედამხედველობის სამსხურის მიერ შედგენილია სულ 60 (სამოცი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც ეხებოდა დმანისის მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის უნებართვოდ დაკავების ფაქტს. ზედამხედველობის სამსახური რეაგირებდა, ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებზე, რომელიც ეხებოდა ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების მდგომარეობის შესახებ. ზედამხედველობის სამსახურს დაეწერა განცხადება , რომელიც ეხებოდა ქ. დმანისში წმ.ნინოს ქ. N47 მოქალაქე გიორგი ონიანის 22001008254 საკუთრებაში არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (ს/კ 82.01.42.360) სადემონტაჟო სამუშაობთან დაკავშირებით. გაიცა თანხმობის წერილი ზედამხედველობის სამსახურის მიერ.

4. განათლების კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური:

სამსახურმა 2018 წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზება დმანისელი მკვიდრის მაია კავლელაშვილისთვის. სსიპ ‘ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დაარსების 28-ე წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიების (მემორიალის გახსნა, პირველი სპექტაკლის ვიდეო მასალის ჩვენება)ორგანიზება. 2018 წლის კულტურის სტრატეგიის შემუშავება და მიწოდება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ქვემო ქართლის გუბერნიისათვის. ააიპ“ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრში „ინტელექტუალურ კონკურსის რა? სად? როდის? -ორგანიზების ხელშეწყობა. „ექვთიმე თაყაიშვილი -ღვთისკაცი“ფილმის ჩვენების ორგანიზება. მედია ჯგუფი „ეტალონის“ მიერ „დმანისის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენ ღონისძიების ორგანიზება. ააიპ“დმანისის საბიბლიოთეკო სამსახურში “დავით აღმაშენებლის დაბადების დღესთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება. ტურისტული მარშრუტების სამომავლო გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავება. ლოკაციებზე გასვლა ტურიზმის განვითარების სპეციალურ სამუშაო ჯგუფთან ერთად. სატრანსპორტო და საფეხმავლო მარშრუტების მონიშვნა. სავარაუდო საპიკნიკე, საპარკინგე და სველი წერტილების განსათავსებელი სივრცეების შერჩევა. საოჯახო სასტუმროების ფოტო-ფიქსაცია. ქ.რუსთავში, ქვემო ქართლის გუბერნიაში ტურიზმის განვითარების პრეზენტაციის წარდგენა. ქ.დმანისში კორნელი გირგვლიანის (სპორტული სკოლის აწ. გარდაცვლილი მწვრთნელის) სახელობის საერთაშორისო ძიუდოს ტურნირის ჩატარების ორგანიზება. ქ.დმანისის მკვიდრის- ვიბლიანი სალომეს, საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზება. საუკნოვანი ქალბატონებისთვის 8 მარტის, ქალთა საერთაშორისო დღის მილოცვა. მუნიციპალიტეტის მერის მიერ სიმბოლური საჩუქრების, ტკბილეულის და ყვავილების გადაცემა. სამოყვარულო ფეხბურთი 2018- მუნიციპალური ეტაპის ორგანიზება. სახალხო დღესასწაულის „ნოვრუზ ბაირამი“ ჩატარება სოფელ ქვემო ოროზმანის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამავე ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობის მიღება ქ.მარნეულში გამართულ რეგიონულ დღესასწაულში. აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა საპატივცემულოდ მემორიალი შეიმკო გვირგვინით. პროექტის „ცოცხალი წიგნები“ფარგლებში ორგანიზება გავუკეთეთ შეხვედრას მობილური ჯგუფის (გიორგი კაკაბაძე, თამარ ფხაკაზე,მიხო მოსულიშვილი,ცირა ვეფხვაძე,ცირა ბარამიძე,ბაჩო კვირტია მარიამ წიკლაური) პოეტებთან და მწერლებთან . ააიპ“დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად დავასუფთავეთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი-მრგვალი ეკლესია სოფ.ვარდისუბანთან. „დედამიწის დღესთან“ დაკავშირებული დასუფთავების აქციის ქ.დმანისში და მის შემოგარენში ორგანიზება. დმანისის N1 საბავშვო ბაღში, ბაღების გამგეებთან და მზარეულებთან ერთად დასწრება ტრენინგზე“სურსათის ჰიგიენის პრინციპები“:

1. სურსათის დამაბინძურებელი რისკ-ფაქტორები;
2. სურსათის მიღებით გამოწვეული დაავადებები;
3. სანიტარული ღონისძიებები;
4. პერსონალის ჰიგიენა.

მეორე მსოფლიო ომის მემორიალების ყვავილებით შემკობა, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან საზეიმო შეხვედრების ორგანიზება სოფლებში: გომარეთი; ამამლო; კიზილქილისა.

„ღამე მუზეუმში“-პროექტის ფარგლებში საგამოფენო სივრცის მოწყობის ორგანიზება. ღონისძიების საორგანიზაციო საკითხების გადაჭრა .სტუმრების მიღება.

ააიპ“ანიმაციის განვითარების ფონდის“ მიერ ორგანიზებული მე-10 საერთაშორისო ფესტივალის“თოფუზი“ ხელშეწყობა, ააიპ“დმანისის კულტურისა დახელოვნების ცენტრის ხატვის წრის ბავშვების ნახატების საფუძველზე ანიმაციური ფილმის შექმნა.

ააიპ“ანიმაციის განვითარების ფონდის“ მიერ ქ.დმანისის ცენტრალურ სკვერში „ბარაბან-შოუს“ მოწყობის და დარბაზში ანიმაციური ფილმების ჩვენების ორგანიზება.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება (საბავშვო ბაღის ბავშვების ფერადი ცარცებით ხატვა,ჭადრაკის მოყვარულთა ტურნირი), ქ.დმანისის ცენტრალურ სკვერში, 26 მაისის კვირეულის დასკვნითი საზეიმო

კონცერტი. სახალხო დღესასწაული“გომარეთობა“სოფელ გომარეთში მხატვრული და სპორტული აქტივობების საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

ააიპ“საგანმანათლებლო ცენტრში“ ახალგაზრდული ცენტრის ინიციატივით საჯარო სკოლების უფროსკლასელთათვის გამართული ინტელექტუალური კონკურსის “ ჩვენ ვსწავლობთ გეოგრაფიას“ორგანიზების ხელშეწყობა.

სოფელ გომარეთის საჯარო სკოლაში „მკითხველის თეატრის ოთახის გახსნის“(ინგლისურ ენაზე, ინგლისური ენის პედაგოგის ინიციტივით) ხელშეწყობა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებების ორგანიზება.

„შემეცნებითი სასკოლი სპორტული ოლიმპიადის“ ორგანიზება, მონაწილე სტუმრების(ოლიმპიური ჩემპიონები: დავით გობეჯიშვილი; კახი კახიაშვილი და ოლიმპიური კომიტეტის ვიცე პრეზიდენტი -ელგუჯა ბერიშვილი) მიღება.

საჯარო სკოლების მოსწავლეების მიერ პრეზენტაციების წარმოდგენა თემაზე“ოლიმპიზმი“.

ინტელექტუალურ კონკურსის „ერუდიტი“,ჩატარება საჯარო სკოლების I-IX კლასის მოსწავლეებისათვის.სოფელ ირგანჩაის საჯარო სკოლის პედაგოგის ნატო კვარაცხელიას(მუშაობს პროექტით „ასწავლე საქართველოსთვის“)ინიციატივით და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.

არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის დაგეგმილი სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმირების კამპანიის შეხვედრის საორგანიზაციო საკითხების ხელსეწყობა.

ქ.მარნეულში, ქვემო ქართლის რეგიონის კონკურს-ფესტივალის „სხვა საქართველო სად არის“დასკვნით ღონისძიებაში მონაწილეობის ხელშეწყობა .

ქ.თბილისში, საქართველოს ეროვნული საგანმანათლებლო პროექტის „ეტალონი“ დასკვნით შოუ-საღამოზე, მუნიციპალიტეტების „ეტალონი მოსწავლის“ და მიწვეული სტუმრების დასწრების ხელშეწყობა.

ქ.დმანისის N1 საჯარო სკოლაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებული პრეზენტაციების(კერამიკა და ხატების მოოქროულობის) ხელშეწყობა.

ქვემო ქართლის მასშტაბით“სპორტი ბარიერების გარეშე“ სპრინტის გამარჯვებულის სოფელ გომარეთის მეათე კლასის მოსწავლის გ.ექიზაშვილის ტრანსპორტირების ორგანიზება.

ააიპ“დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახურთან“ერთად საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პირობების გასათვალისწინებელი სამუშაო გეგმის შემუშავება.

სახალხო დღესასწაულის „დმანისობა“ ჩატარება. ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების მხატვრული კოლექტივების მიღება. საგამოფენო სივრცეების ორგანიზება. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება.

შეხვედრა ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებთან. მსჯელობა ტურისტული მარშრუტების სააპიკნიკე სივრცეებისა და სველი წერტილების სავარაუდო განთავსების ადგილების განსაზღვრის თაობაზე.

ქ.დმანისის ტურისტული შესაძლებლობების სამომავლო ხედვა, ფოტო მასალისა და სქემების დამუშავება.

რუსეთის აგრესიის დაგმობის ღონისძიების ორგანიზება (ცენტრალური სკვერის მიმდებარედ განთავსებული მემორიალი ყვავილებით შეიმკო , დაინთო სანთლები და გაკეთდა ცოცხალი ჯაჭვი).

ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად დავათვალიერეთ პოტენციური ტურისტული მარშრუტები და გავაკეთეთ სავარაუდო ჩამონათვალი საინფორმაციო დაფებისა და ნიშნულებისათვის.

სახალხო დღესასწაულში „დიდგორობა“ მონაწილეობა ხატვისა და რეწვის საგამოფენო მასალებით. ჩართულობა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში.

დმანისის მუნიციპალიტეტის ცენტრალური მაგისტრალის დასუფთავების აქციის ორგანიზება;

ინფორმაციის შეგროვება დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლების გერმანულ დასახლებებზე(ვიზიტი სოფლებში: იფნარი,მთისძირი).

შეხვედრა სკოლის დირექტორებთან „2018-2019 სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ საორგანიზაციო საკითხების განხილვა.

ტურიზმის განვითარების სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად ნიშნულების, საინფორმაციო დაფების წარწერების ვერსიის შექმნა და თარგმნა ინგლისურ ენაზე.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში გეზრბენის ჩატარების. ორგანიზება.

ააიპ „ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ ფოიეში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ეგიდით მაგიდის ჩოგბურთის ტურნირის მოწყობა.

სულხან საბა ორბელიანის საიუბილეო სპექტაკლზე ‘სიბრძნე სიცრუისა“ პედაგოგების დასწრების ორგანიზება.

საერთაშორისო ტოლერანტობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება.

სასკოლო სპორტული ოლიმპადის ფარგლებში „მხიარული სტარტების“ ორგანიზება

მზადება -საახალწლო ღონისძიებებისთვის.

5. **სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური:**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2018 კალენდარული წლის პერიოდში საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 იანვრის N36 და 2018 წლის 8 აგვისტოს N408 დადგენილებების თანახმად სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული იქნა 79 წვევამდელი, მ.შ.:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში – 58;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში - 6;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში - 9;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ვადიანი სამხედრო საკონტრაქტო სამსახურის გასავლელად ჩაირიცხა - 6;

,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად გადავადება მიეცა 289 წვევამდელს, მ.შ.:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო - 44;

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი - 128;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე - 29;

სწავლობს სასულიერო სასწავლებელში - 5;

ჰყავს ერთი შვილი - შვილის შეძენის დღიდან სამი წლის ვადით - 22;

ჰყავს ორი ან მეტი შვილი - 13;

არის დედისერთა - 31;

მუშაობს სოფელში მასწავლებლად - 1;

გადაიხადა სამხედრო სავალებულო სამსახურში გაწვევისაგან საქართველოს კანონით დადგენილი გადავადების მოსაკრებელი 2000 ლარი - 15.

დამატებით სამედიცინო გამოკვლევაზე გაიგზავნა 1 წვევამდელი;

საქართველოს შეიარაღებულ ძალების საკონტრაქტო სამსახურში გასაწვევად შერჩეული 1 კანდიდატის ორ ეგზემპლარად შექმნილი პირადი საქმეები გადაიგზავნა საქართველოს შეიარაღებულ ძალების გენერალურ შტაბში.

სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი და საქართველოს შეიარაღებული ძალების რეზერვში ჩარიცხულ იქნა 186 მოქალაქე, მ.შ.:

საქართველოს კანონის ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად - 81 მოქალაქე (სამხედრო სავალდებულო სამსახურ გავლილი);

21-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად - 105 მოქალაქე (27 წლის ასაკს მიღწეული);

საერთო სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 24, მ.შ.:

რეგისტრაციის ადგილისშეცვლასთან დაკავშირებით - 19;

გადაყვანილ იქნა სპეციალურ აღრიცხვაზე 5 მოქალაქე.

,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 184 მოქალაქე, მ.შ.:

2001 წელს დაბადებული ჭაბუკები - 177 და 7 უფროსი ასაკის ის მოქალაქეები, რომლებიც ადრე სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნენ აყვანილნი სამხედრო აღრიცხვაზე.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გაცემული იქნა 93 რეზერვისტის დროებითი მოწმობა, 54 წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა და 8 ცნობა სამხედრო ნამსახურობის შესახებ. შესრულებული იქნა 209 სხვადასხვა სახის განცხადება და შემოსული კორესპონდენცია.

6. **ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**

2018 წლის განმავლობაში მერიაში 6 პროგრამა მოქმედებდა.

წლის განმვალობაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამით ისარგებლა 392 - მა ბენეფიციარმა;

ფენილკეტონურიით დაავადებულ სამ ბავშვზე წლის განმავლობაში სპეციალური კვების პროდუქტების შესაძენად 3 000 ლარი გამოიყო წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად (თითოეულ ბავშვზე 1 000 ლარის ოდენობით).

სტაციონარულ ამბულატორიული პროგრამის ფარგლებში გაიხარჯა წლის განმავლობაში 150 000 ლარი, დახმარება გაეწიათ 362 ბენეფიციარს; პროგრამით გათვალისწინებულ 80 000 ლარს დაემატა 70 000 ლარი.

დიალიზის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 12 ბენეფიციარს ყოველთვიურად ანგარიშზე ერიცხებოდათ 50 ლარის ოდენობა, რომლებიც ასევე სარგებლობენ ,,ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამით“, მგზავრობენ თბილისი დმანისი - დმანისი თბილისის მიმართულებით კვირაში სამჯერ;

რაც შეეხება ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალურ პროგრამას სარგებლობენ პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარები (სტუდენტები, ვეტერანები, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეები, უსინათლოები), ყოველ თვე მგზავრთა ნაკადი საშუალოდ შეადგენს 35 ბენეფიციარს (პროგრამით უზრუნველყოფისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა შეადგენს 37 961 ლარს, ნოემბრის მდგომარეობით ათვისებულია 25 986 ლარი). პროგრამას წლის განმავლობაში კურირებას უწევდა მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი რომან დევნოზაშვილი.

მიმდინარე წელს საწვავი შეშით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დახამარება გაეწია 110 ბენეფიარს, (წელს საწვავი შეშა ჩავანაცვლეთ ბიოსაწვავი ბრიკეტით და მიმდინარეობს გაცემის პროცესი), პროგრამისათვის განკუთვნილი თანხა შეადგენს 38 000 ლარს. ასევე წლის განმავლობაში ქარქცეული ხეების გამოთავისუფლებული რესურსით ისარგებლა 12- მა სოციალურად დაუცველმა მოქალაქემ. ამ ეტაპზე გაცემულ გვაქვს 25 ტონა საწვავი ,,ბრიკეტი“, 26 დეკემბრამდე დავასრულებთ გაცემას, რომელიც ნაწილ - ნაწილ შემოდის და ვასაწყობებთ შესაბამის ადგილზე.

წლის განმავლობაში 4 - ჯერ იქნა შეკრებილი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო“, სადაც იხილებოდა სამსახურების შესაბამისად სად ეწყობოდა შშმ პირთათვის ადაფტირებული გარემო, რა კულტურულ და სოციალურ პროექტებში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ.

შემოსული განაცხადების შესაბამისად წლის განმავლობაში ასოციაციამ ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 14 შშმ პირის დოკუმენტაცია იქნა განხილული და საჩუქრად გადაეცათ გადასაადგილებელი ეტლები;

9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში ჯანმრთელობისა და სოცილაური დაცვის სამსახური აქიტიურად იყო ჩართული. 3 მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს გადაეცათ 100 ლარის ფარგლებში საკვები პროდუქტები.

აფხაზეთის ომში მონაწილე 12 შშმ ვეტერანზე იქნა გაცემული ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით 200 ლარი 27 სექტემბერს აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებით.

ასევე მიმდინარე წელს საქველმოქმედო ფონდმა ,,მეოხი - 2014" დმანისში რეგისტრირებულ ვეტერანის შვილებს (30 ბავშვი) სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

სამსახურის ორგანიზებით და მხარდაჭერით წლის განმავლობაში 4 ჯერ ჩატარდა სისხლის გადასხმის უანგარო დონაციის აქცია, აქტივობისათვის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრმა. მერია მადლობის სიგელით დაჯილდოვა.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში მოცულია დმანისის მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა სოფელი, რომელსაც ახორციელებდა ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ასევე ჩართულია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ დაწყებული პროექტის ,,შაქრიანი დიაბეტის მართვის გაუმჯობესება ქვემო ქართლის რეგიონში", რომელსაც კურირებას უწევს სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მზია დევნოზაშვილი, სკრინინგში ჩართვა დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 10 000 მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა.

სამსახური წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ტრეინინგ კურსებზე, რომელსაც ატარებდა ,,საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია".

დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირებიდან სახელმწიფოს მიერ 31 ოჯახს გადაეცათ საცხოვრებელის ბინები, სახლები ძირითადად - დმანისში, რუსთავში და ვაზიანში.

თვეში ერთხელ ხდებოდა მონიტორინგი ,,სათნოების სახლის", სადაც 42 ბენეფიციარი იღებს ცხელ სადილს ყოველდღიურად.

ასევე მიმდინარეობდა აქტიური მინიტორინგი ყოფილი რაიონული საავადმყოფოს შენობაში თვითნებულად შეჭრილი მოსახლეობისა, გვაქვს აღრიცხული ფაქტიურად მცხოვრებტა ბაზა, რომლებიც ისარგებლებენ მუნიციპალური შეღავათებით (მერია ხელს უწყობს შენობაში მცხოვრებთა ბუნებრივი აირით მომარაგებას).

სამსახურიში ფუნციონირებს ელექტრონული საქმისწარმოები ორი პროგრამა - საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა და მოქალაქეთა მომსახურების სისტემა, სადაც შემოსული დავალებები სრულდება ვადების მკაცრი დაცვით.

სამსახურის უფროსი და ყველა თანამშრომელი მერის დავალების შესაბამისად ამზადებდა ყოველკვირეულ ანგარიშს.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური აქტიურად არის ჩართულია მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოში, დღეის მდგომარეობით შედგა 28 სხდომა, დადებითად დასრულდა 286 შემოტანილი განაცხადი, უარყოფითად - 17, მონიტორინგის საფუძველზე სტატუსი შეუწყდა 16 მოქალაქეს, შეჩერებული სტატუსის აღდგენა მოხდა 3 მოქალაქეზე.

7. **შიდა აუდიტის სამსახური:**

შიდა აუდიტის სამსახურმა 2017-2018 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და/ან მმართველობაში მყოფ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებში ჩაატარა შიდა აუდიტი, მათ შორის:

1. შპს ,,მშენებელი'' 2017 წლის იანვარი-თებერვალი;
2. ა(ა)იპ ,,დმანისის სათნოების სახლი'' 2017 წლის მარტი-აპრილი;

3. ა(ა)იპ ,,დმანისის კულტურის ცენტრი'' 2017 წლის მაისი-ივნისი;

4. ა(ა)იპ ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა'' 2017 წლის ივნისი-ივლისი;

5. ა(ა)იპ ,,დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური'' 2017 წლის ოქტომბერი-ნოემბერი;

6. ა(ა)იპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური'' 2017 წ. დეკემბერი - 2018 წ. იანვარი;

7. ა(ა)იპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური'' 2018 წლის იანვარი-თებერვალი;

8. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული 2018 წლის მარტი;

9. ა(ა)იპ ,,დმანისის სამუსიკო სკოლა'' 2018 წლის აპრილი-მაისი;

10. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული 2018 წლის ივნისი;

11. ა(ა)იპ ,,დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი'' 2018 წლის ივლისი-აგვისტო;

12. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული 2018 წლის სექტემბერი;

13. ა(ა)იპ ,,საგანმანათლებლო ცენტრი'' 2018 წლის ოქტომბერი-ნოემბერი;

14. შპს ,,მშენებელი'' (მიმდინარეობს) 2018 წლის დეკემბერი;

8. **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური:**

დმანისის მუნიციპალიტეტში 2018 წელს **4 745 112** მილიონი ლარის ღირებულების 35-პროექტი განხორციელდა, აქედან 15 პროექტი დასრულებულია, 20 კი მიმდინარეა და უახლოეს პერიოდში დასრულდება.

გზები, სანიაღვრე სისტემები და ხიდები

საგზაო ინფრასტრუქტურისა და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებისთვის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს 20 მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს. ასფალის საფარის მოწყობისა და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს ქ. დმანისში ქ. დედოფლის ქუჩაზე, სიონის მეორე ჩიხი, ჭავჭავაძის ქუჩა, გულისაშვილის ქუჩა, გამსახურდიას ჩიხი,ცხრა აპრილის ჩიხი ხერგიანის ქუჩა, ცურატველის ჩიხი ასევე სანიაღვრე არხისა და ასფალტის საფარის მოწყობა მიმდინარეობს შემდეგ სოფლებში: სოფ.პატარა დმანისი, სოფელი სალამალეიქი, სოფელი კამიშლო,სოფელი ჯავახი სოფელი ტნუსი, სოფელი ბოსლები, სოფელ გომარეთში, სოფელი ვარდისუბანში, სოფელ დიდ დმანისში, სოფელი საკირეს მისავლელი გზაზე. ჯამში 2018 წელს მიმდინარეობს 8 000 გრძ/მ ასფალტის საფარისა და 2880 გრძ/მ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 3 292 385 ლარს.

მიმდინბარე წელს დასრულდა სოფელებში გოდაგდაგში, ზემო კარაბულახში და ქ.დმანისში გაბაშვილის ქუჩაზე გზის მოასფალტების სამუშაოები 920მ ხოლო ლოქჭანდარში და გომარეთში ჩატარდა მოხრეშვის სამუშაოები 4,2კმ სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 239 000 ლარს

დასრულდა სოფელ კიზილქილისაში მისასვლელ გზაზე და სოფელ ირგანჩაისში მისასვლელ გზაზე საავტომობილო ხიდის მშენებლობა სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 50 000 ლარს

ხოლო სოფლებში დალაში და ტნუსში მიმდინარეობს ხიდის მშენებლობა სამუშაოების ღირებულება შეადგენს 177 180 ლარს

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი დანიშნულების გზებზე ქალაქში რამდენიმე ქუჩაზე და სოფლებში მოეწყო სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები, სამუშაოების ღურებულება შეადგენს 27000 ლარს.

საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა-

მიმდინარე წელს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარეგაების კომპანიის მიერ ქ.დმანისში გოგებაშვილის ქუჩაზე მოეწყო წყალარინების ქსელი.

შეიცვალა ქ.დმანისში N1 საბავშო ბაღის წყალარინების სისტემა სამუშაოების ღირებულება შეადგენს 6000 ლარი.

რიტუალების სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა ქ.დმანისში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე ღირებულებით 61 295.

საცხოვრებელი კორპუსის გადახურვა და ფასადი-

მიმდინარეობს 5 საცხოვრებელ კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტაცია უტარდება კულტურის სახლის სახურავს, სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 320853,4 ლარს

ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩა N15-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსს უტარდება ფასადის რეაბილიტაცია, სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 174 000 ლარს.

გარე განათება-

მიმდინარეობს გარე განათების მოწყობა ქ.დმანისში რამდენიმე ქუჩაზე და სოფლებში: იაღუფლო, განთიადი, პანტიანი,ირგანშაი. სამუშაოების საერთო ღირებულება შადგენს 285399 ლარს.

ქ.დმანისში მიმდინარე წელს აშენდა საზოგადოებრივი ცენტრი, ცენტრის ეზოს კეტილმოწყობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 112 000 ლარი.

ინტერნეტი -

მიმდინარე წელს ქ.დმანისში და სოფელ დალარში მოეწყო მაქტიკომის ობტიკურ ბოჭკოვანი ინტერნეტის ქსელი.

სკოლები-

ოთხ საჯარო სკოლაში მოეწყო სველი წერტილები.

ტურიზმი-

დმანისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის პრიორიტეტებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ტურიზმის განვითარება. მიმდინარე წელს შეიქმნა ტურიზმის განვითარების სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ინტენსიურად იმუშავა დმანისის მუნიციპალიტეტის მდიდარი ტურისტული პოტენციალის, ტურისტული ობიექტების ორთო-ფოტო მასალის დამუშავებაზე, სამომავლო ხედვაზე. შეირჩა უახლოესი პერიოდისათვის ტურისტებისათვის საინტერესო ობიექტები, ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები საპიკნიკე სივრცეებისა და სველი წერტილების განთავსებისათვის. მომზადდა დოკუმენტაცია ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. ვითანამშრომლეთ საქართველოს ეროვნული მუზეუმთან, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან.

გაზიფიცირება-

მიმდინარე წელს გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ პარატა დმანისში და სოფელ ვაკეში.

2019 წელს დაგეგმილი პროექტები

2019 წელს საქართველოს გაეთიანებული წყალმომარაგების კომპანიას დაგეგმილი აქვს და უნდა დაიწყოს ორმოცწყარო-მაშავერის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება, რომელიც 19 სოფელს და ქ. დმანისს მიაწვდის ხარისხიან წყალს 24 საათიანი გრაფიკით. ამჟამიდელი არის გამოსული მწყობრიდან და არაეფექტურია.

2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია სამ ბრიგადაზე გათვლილი სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისთვის შენობის მშენებლობა.

2019 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდს დაგეგმილი აქვს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.

2019 წელს საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაგეგმილი აქვს ადგილობრივი მნიშვნელობის გომარეთი-ჭოჭიანის ს/გზის რეაბილიტაცია, ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის ს/გზის კმ85-კმ98 მონაკვეთის რეაბილიტაცია და ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის ს/გზის კმ83+145-კმ84+150 მდ. ხევისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის მოწყობის სამუსაოები.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2019 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები

N	პროექტის დასახელება	ღირებულება
1	2	3
1	სოფ მაშავერაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა	300000
2	სოფ ახალ გოდაგდაგში სანიაღვრე არხის მოწყობა	20000
3	სოფ დაგარახლოს სასაფლაოსთან გზების შეკეთება	200000
4	ქ. დმანისში დარჩენილი ქუჩების და ჩიხების რეაბილიტაცია (ცურტაველის ჩიხი, კოსტავას ქ. ვახტანგ მეფის ქ. ჩიხი, სიონის VI შესახვევი)	300000
5	სოფ აზკაკლიანის შესასვლელიდან რიტუალების სახლამდე გზის მოასფალტება	200000
6	სოფ გომარეთში ე.წ. ,,თათელაანთ წყლის'' ხევის მონაკვეთის ჯებირებით გამაგრება და ფურნის უბანის ხევის წყლის მართვა, სანიაღვრე არხის მოწყობა	45000
7	ქ. დმანისში 9 აპრილისა და ჩოლოყაშვილის ქუჩების კვეტასთან მინი სტადიონის და სკვერის მოწყობა	250000
8	ქ დმანისის თავისუფლების ხეივნის, სკვერის მიმდებარე სივრცეების, შადრევნის ტერიტორიის რეაბილიტაცია	130000
9	კარაბულახის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის სახურავის რეაბილიტაცია	25000
10	სოფ ჯავახის საბავშო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია	30000
11	დმანისის მუნიციპალიტეტის საზღვრის აღმნიშვნელი (ბანერის) მონუმენტის მოწყობა და ქ.დმანისის შემოსასვლელში არსებული მონუმენტის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	80000
12	ქ. დმანისში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მდებარე (82.01.45.007) სარიტუალო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ფარდულის აშენება.	160000
13	ქ. დმანისში 9 აპრილის ქ. N68 ა-ში (82.01.46.470) მდებარე სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია და სამზარეოლოს მოწყობა.	50000
14	სოფ ჯავახში სარიტუალო დარბაზის შენობის სახურავის რეაბილიტაცია, სამზარეულოში ბუნებრივი აირის მაღალი წნევის წერტილის მოწყობა და გაზის გამათბობლის მონტაჟი, სამრეცხაოს მოწყობა გამწოვი სისტემით, იატაკზე მეტლახის დაგება.	130000

15	სოფ იაღუფლოში რიტუალების სახლში მეტლახის მოწყობა და კედლების შელესვითი სამუშაოები	25000
16	ქ. დმანისში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია (26 მაისის ქ. N11	91247
17	ქ. დმანისში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია	559450
ჯამი		2595697

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 2019 წელში დაგეგმილი პროექტები

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
1	2	3
საპიკნიკე სივრცეებისა და სველი წერტილების მოწყობა თანამედროვე სეპტიკებით, ტურისტულ ობიექტებთან. ლოკაციები: 1. სოფ. საკირე, წითელ ეკლესიასთან 2. ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის 79-ე კილომეტრზე სოფ. პატარა დმანისთან/დმანისის ნაქალაქართან, 3. ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის 77-ე კილომეტრზე , მდ. მაშავერას და მდ. ფინეზაურის შესართავთან, 4. ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის 72-ე კილომეტრზე მდ. მაშავერას მარცხენა სანაპიროზე, 5. სოფ. ახის მიმდებარე ტერიტორია, ზურტაკეტის ხეობა. 6. ქ.დმანისი წმ.ნინოს ქ.N42 (სასამართლოს შენობის მიმდებარედ) (სველი წერტილი) 7. ქ. დმანისი ცენტრალური სკვერი წმ.ნინოს ქ.N56 (სველი წერტილი) 8. ქ. დმანისი კოსტავას ქ. N4 (სველი წერტილი) 9. ქ.დმანისი წმ.ნინოს ქ.N39 (სველი წერტილი)	237,500.0	12,500.0

საფეხმავლო ბილიკების და მანიშნებლების მოწყობა 1) სოფ ვარდისუბნიდან სოფ პატარა დმანისის მიმართულებით საცალფეხო ბილიკის მოწყობა. 2) სოფ ვარდისუბნიდან სოფ მაშავერას მიმართულებით საცალფეხო ბილიკის მოწყობა. 3) სოფ პატარა დმანისთან XI-XII საუკუნის აბანოებთან საცალფეხო ხიდის მოწყობა. 4)ტურისტულ ლოკაციებამდე მისასვლელი მანიშნებლებების მოწყობა 21 ცალი. 5) ტურისტულ ობიექტებზე შესაბამისი აღწერილობის/საინფორმაციო დაფების მოწყობა შემდეგ ლოკაციებზე: ა). „ნაგზაური“-V-VIII სს საეკლესიო კომპლექსი; ბ). ზემო კარაბულახის X-XI სს დარბაზული ეკლესია. ; გ). IV-Vსს მრგვალი ეკლესია; დ). XII-XIII სს პატარა დმანისის აბანოები; ე). XIXსს წმ. დემეტრეს სახელობის ეკლესია (ველისპირი); ვ). XI ს წმ.გიორგის სახელობის ეკლესია (გომარეთი); ზ). XIს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია(გომარეთი, თ). შუბაშიანთ ქვის სვეტები(სტელები) V-VI სს; ი). VIII-IX სს წვერის წმ. გიორგის ეკლესია(გომარეთი); კ). უკანგორის ღვთისმშობლის სახელობის V საუკუნის ეკლესია; ლ).საკირეს შუა საუკუნეების წითელი ეკლესია; მ). შუა საუკუნეების ლუკა მახარებლის სახელობის ეკლესია (ლუკუმის მთა)	427,500.0	22,500.0

ტურისტულ ობიექტების შემოღობვა და განათების მოწყობა 1) სოფ. ვარდისუბნიდან სოფ. პატარა დმანისის მიმართულებით საცალფეხო ბილიკის განათება. 2) სოფ. ვარდისუბნიდან სოფ. მაშავერას მიმართულებით საცალფეხო ბილიკის განათება. 3) სოფ. პატარა დმანისთან XI-XII საუკუნის აბანოებთან საცალფეხო ხიდის განათება. 4) „ნაგზაური“-V-VIII სს საეკლესიო კომპლექსის შემოღობვა და განათება. 5) სოფ.ზემო კარაბულახის X-XI სს დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაცია, შემოღობვა და განათება. 6) IV-Vსს მრგვალი ეკლესიის განათება. 7) XII-XIII სს პატარა დმანისის აბანოების განათება. 8) XIXსს წმ. დემეტრეს სახელობის ეკლესია (ველისპირი) განათება; 9) ქციის მამათა მონასტრის განათება; 10)დმანისის სიონის (ნაქალაქარის) მისასვლელი გზის და ციტადელის განათება, 11)გოლგოთას მონასტრის განათება; 12) სოფ. ჯავახში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია, შემოღობვა და განათება; 13)უკანგორის ღვთისმშობლის სახელობის V საუკუნის ეკლესიის განათება; 14)საკირეს შუა საუკუნეების წითელი ეკლესიის განათება; 15)შუა საუკუნეების ლუკა მახარებლის სახელობის ეკლესიის (ლუკუმის მთა) განათება			237,500.0	12,500.0
დმანისის სიონის (ნაქალაქარის) მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (570 გრძ.მ) სანიაღვრე არხების და საპარკინგე სივრცეების მოწყობა			285,000.0	15,000.0
სოფ. ირგანჩაიში სოფლის შიდა გზის რეაბილიტაცია			665,346.8	35,018.3
სოფელ კამიშლოში მისასვლელი გზისა და სოფლის შიდა გზის რეაბილიტაცია II ეტაპი			475,000.0	25,000.0
			2327747	122518